

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: თინათინ ცხოვრებაძე

სამაგისტრო ნაშრომი:

ვალდებულების დარღვევა და მისი სამართლებრივი  
შედეგები

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ლევან დუნდუა

თბილისი 2020

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ვალდებულების დარღვევა და მისი სამართლებრივი შედეგები. პირველ რიგში, საწინამ ვალდებულების დარღვევამდე მივალ ვალდებულების წარმოსადგენად და გასააზრებლად განხილულია ვალდებულების ზოგადი დახასიათება მისი წარმოშობის ისტორია, მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში, ცნება, სახეები და წარმოშობის საფუძვლები. შემდგომ უკვე განხილულია ვალდებულების დარღვევის სახეებს და იმ სამართლებრივ პასუხისმგებლობებს, რომლებიც დგება უშუალოდ ვალდებულების დარღვევის შემდგომ.

აღნიშნული საკითხი დღეს დღეობით აქტუალურია და ცივილიზებული საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ვალდებულებით სამართალს სამოქალაქო სამართალში დიდი ადგილი უჭირავს. ვალდებულებით სამართალი საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ადამიანები უამრავ ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, თუმცა ამ ურთიერთობის სამართლებრივ ხასიათს არ აცნობიერებენ, მაგრამ, როგორც კი რომელიმე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი მნიშვნელოვანი ხდება მხარეთათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ურთიერთობის დაწყების მომენტიდანვე მხარეებს გაცნობიერებული ჰქონდეთ მათი ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება იცოდნენ, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ვალდებულების დარღვევას, რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და რა სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ. აქედან გამომდინარე ვეცადე ნაშრომში გადმომეცა ის მნიშვნელოვანი დებულებები, რაც დაკავშირებულია ვალდებულების წარმოშობასთან, მის დარღვევასთან და სამართლებრივ შედეგებთან.

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები (შეცვლილი გარემოებები, დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)) ცნება, მნიშვნელობა, და მისი ძირითადი ასპექტები, როგორც ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი და მისი სამართლებრივი დახასიათებლები.

მიმაჩნია, რომ ესეც ერთ–ერთი აქტუალური საკითხია, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრობლემები.

ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, თუმცა ასევე გამოვიყენე, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე სზღვარგარეთის, კერძოდ გერმანიის სამოქალაქო სამართალი. ასევე გამოვიყენე ძირითადი იურიდიული ლიტერატურა, სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები, სტატიები და ინტერნეტ სივრცეში არსებული სხვადასხვა მასალა.

## შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო სამართლებრივი ინსტიტუტის სამართლებრივ კვლევას. მასში დეტალურადაა განხილული ვალდებულება, ვალდებულების დარღვევა და ის სამართლებრივი შედეგები, რომელებიც მოჰყვება ვალდებულების დარღვევას.

პირველ თავში საუბარია ზოგადად ვალდებულებით სამართალზე, მისი წარმოშობის ისტორიაზე, თუ რა ადგილი უჭირავს მას კერძო სამართლის სისტემაში, ვალდებულების ცნება, სახეები და წარმოშობის საფუძვლები, რადგან სამან უშვალოდ ვალდებულების დარღვევაზე გადავალ ზოგადი ინფორმაცია გვექონდეს საერთოდ რას გულისხმობს ვალდებულება.

მეორე თავში განხილულია უკვე ვალდებულების დარღვევის სახეები, პასუხისმგებლობის სახეები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას. აღნიშნული თავი პასუხს სცემს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა: რა სამართლებრივი საფუძვლები უნდა არსებობდეს, რომ ვალდებულების დარღვევისას მოვალეს დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა? როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ანუ როდესაც არღვევს ვალდებულებას კანონმდებლობის თანახმად, რა სამართლებრივი დაცვის საშუალებები გააჩნია კრედიტორს თავისი ინტერესების დასაცავად? რა მნიშვნელოვანი განსხვავებებია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას შორის და ეკისრება თუ არა არასრულწლოვანს სამართლებრივი პასუხისმგებლობა? ასევე საუბარია ვალდებულების დარღვევის დროს ხელშეკრულებიდან გასვლაზე როდის აქვს მხარეს ამის უფლება და მანამდე რა ვალდებულებები აკისრია.

მესამე თავი პასუხობს ისეთ მნიშვნელოვან კითხვას, როგორცაა: ვალდებულების დარღვევისას ყოველთვის ეკისრება თუ არა მხარეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა? რა არის საფუძველი მხარის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების? ამ თავში განხილულია შესრულების

შეუძლებლობის შემთხვევები: შეცვლილი გარემოება და დაუძლეველი ძალა ( ფორსმაჟორი), როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები.

**არჩეული თემის აქტუალობა:** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე არსებობს ნორმატიული აქტები, დამხმარე ლიტერატურა და სხვადასხვა ნაშრომები საკითხი მაინც აქტუალურია ცივილიზებული საზოგადოებისთვის, ამიტომ საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და დახვეწას.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ვალდებულებითი სამართლის ისტორიული განვითარების მომენტში ვალდებულებითი სამართლის ურთიერთობის ფორმა, შინაარსი რა თქმა უნდა განიცდიდა და განიცდის ცვლილებებს, თუმცა მისი მთავარი იდეა ცვლილებას არ ექვემდებარება. ვალდებულებით სამართალს სამოქალაქო სამართალში დიდი ადგილი უკავია. სამოქალაქო ბრუნვა ქონების გადაადგილებით ვითარდება, სწორედ ვალდებულებითი სამართალი წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ სისიტემას მსგავს ურთიერთობებში.

პრაქტიკაში ვალდებულებითი სამართლის ნორმების გამოყენება წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები უამრავ ურთიერთობას ამყარებენ, მაგრამ ეს ხდება გაუცნობიერებლად, მათ არ იციან ამ ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი, თუმცა როგორც კი, რომელიმე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი მნიშვნელოვანი ხდება მხარეთათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ურთიერთობის დაწყების მომენტიდან მხარეები ერკვეოდნენ მათი ურთიერთობის შინაარსში და იცოდნენ რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკითხი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრობლემები. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია, იმით, რომ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები, კერძოდ შეცვლილი გარემოებების და დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) სრულყოფილ განმარტებას და რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა და

სასამართლოზეა მიზნობილი, თუ როგორ გარემოებას მიიჩნევს ასეთად ეს კი ცხადია სადაო ხდება. ამ საკითხის გასააზრებლად და უკეთ გასაცნობიერებლად წარმოდგენილი მაქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და ის ფორსმაჟორული გარემო, გლობალური ეპიდემია, რომლის პირობებშიც გვიწევს ცხოვრება.

**კვლევის მიზანი და მეთოდები:** კვლევის მიზანია ვალდებულების, ვალდებულების დარღვევის სახეების, პასუხისმგებლობის სახეების დეტალური გამოკვლევა, ვალდებულების დარღვევისას იმ სამართლებრივი საშუალებების შესწავლა, რომელიც კრედიტორს გააჩნია თავისი ინტერესების დასაცავად. ასევე შესრულების შეუძლებლობის ხასიათის, მისი სხვადასხვა კატეგორიების და ამასთან დაკავშირებით კონტრაქტის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლების დადგენა.

კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, სამართლებრივ-შედარებითი მეთოდები.

ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, თუმცა ასევე გამოვიყენე, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე კონტინენტური ევროპის, კერძოდ გერმანიის სამოქალაქო სამართალი. ასევე გამოვიყენე ძირითადი იურიდიული ლიტერატურა, სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები, სტატიები, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და ინტერნეტ სივრცეში არსებული სხვადასხვა მასალა.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად ტექსტს და დასკვნას. მასრომი შედგება სამი თავისგან და 12 ქვეთავისაგან. კვლევა შედგება სულ... გვერდისგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

# თავი 1

## ვალდებულებათა ზოგადი დახასიათება

### 1.1 ვალდებულებითი სამართლის ადგილი კერძო სამართლის სისტემაში

„ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივ ცხოვრების იმ სფეროს, რომელიც განვითარების ნებისმიერ ეტაპზე არსებობდა, არსებობს და იარსებებს ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად.“<sup>1</sup>

ქართულმა სამართალმა დიდი ისტორიული გზა განვლო. ქართველმა ერმა მოახერხა ისტორიული განვითარების პროცესში შეექმნა დროის შესაბამისი კერძოსამართლებრივი რეგულირებები. ქართულმა კანონმდებლობამ მე–20 საუკუნის ბოლოს „თავიდან აღმოაჩინა“ კერძო სამართალი და კერძო საკუთრების იდეა, შესაბამისად, როცა თანამედროვე ვალდებულებით სამართალზე და მის ისტორიულ წარმოშობაზე ვსაუბრობთ ყურადღება რომის სამართლიდან მომდინარე პრინციპებზე უნდა გავამახვილოთ, რადგანაც რომის სამართალი სამართლის „ცივილისტური გაგების“ ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია.<sup>2</sup> „ვალდებულები“, როგორც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ტერმინის წარმოშობა და დამკვიდრება ქართული სამართლის ისტორიაში გამოკვლეული არ არის.<sup>3</sup> ვალდებულებითი სამართლის ისტორიული განვითარება მიგვანიშნებს, რომ სამართლის ეს დარგი თავის ადგილს ყოველთვის

---

<sup>1</sup> ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014). *სახელმწიფო სამართალი*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 17. იხ. ლინკი: [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)

<sup>2</sup> „იქვე“

<sup>3</sup> ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014). *სახელმწიფო სამართალი*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 18. იხ. ლინკი: [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)

ინარჩუნებს, რადგანაც ის საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და განსაზღვრავს განვითარების სამომავლო მიმართულებას.<sup>4</sup>

„ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდი ნაწილია. იგი წრმოადგენ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს ქონების გადაცემასთან, სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან, ზიანის მიყენებასთან და სხვა წარმოშობილ ურთიერთობებს“.<sup>5</sup>

ვალდებულებითი სამართალი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში, შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან და მოიცავს 700-მდე მუხლს, რითაც გვევლინება კოდექსის სისტემაში შემავალ ყველაზე მოცულობით და ამავდროულად ყველაზე დინამიურ დარგად.<sup>6</sup> ზოგადი ნაწილი არეგულირებს ვალდებულების წარმოშობასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. ზოგადი ნაწილის ნორმები თანაბრად გამოიყენება ყველა ვალდებულებების მიმართ. კერძო ნაწილი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობათა სპეციალურ, ცალკეულ შემთხვევებს, როგორცაა ნასყიდობა, ქირავნობა, ნარდობა და სხვა. ზოგადი ნაწილი მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 316-476 მუხლებს, ხოლო კერძო სახელშეკრულებო ვალდებულებების 477-952 მუხლებს და კანონისმიერი ვალდებულებების 953-1016 მუხლებს.

---

<sup>4</sup> ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014). *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 19. იხ. ლინკი: [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)

<sup>5</sup> ახვლედიანი, ზ. (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი" გვ. 5

<sup>6</sup> ვაშაკიძე, გ. (ბოლო დამუშავება 26 ოქტომბერი, 2016). *შესავალი ვალდებულებით სამართალში*. თბილისი. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf>

სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნი არ არის ვალდებულებითი სამართლის ყოვლისმომცველი კოდიფიკაცია და როგორც სახელშეკრულებო ასევე კანონისმიერ ვალდებულებათა გარკვეული საკითხები გადმოტანილია დარგობრივ კოდიფიკაციაში, ან მიმოხილულია სამოქალაქო კოდექსის სხვა წიგნებში.

ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ნორმები ზოგადი ნაწილის ნორმებთან მიმართებაში სპეციალური ნორმების უპირატესობით სარგებლობს. კერძო ნაწილის ნორმები კი ზოგადია იმ სპეციალური ვალდებულებით–სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, რომელიც სპეციალური კანონით არის დარეგულირებული.

## 1.2 ვალდებულების არსი და მისი წარმოშობის საფუძვლები

„ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც“.<sup>7</sup> კანონმდებლის მიერ 316–ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დაეფინიცია, სრულყოფილი არ არის და მხოლოდ მიუთითებს მოვალის ვალდებულებასა და კრედიტორის უფლებებზე. „სამოქალაქო–სამართლებრივი ვალდებულება – ეს არის განსაზღვრული სამართალურთიერთობა, რომლის ძალითაც, ერთი პირი – მოვალე – ვალდებულია, მეორე პირის – კრედიტორის – სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება შეასრულოს (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ვალი და ა. შ. ), ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება.“<sup>8</sup> „მოქმედება

---

<sup>7</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316–ე მუხლი.  
თბილისი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>8</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 14.  
[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

და უმოქმედობა ( თავის შეკავება ) მართლზომიერი ნებითი აქტია მკაცრად განსაზღვრული ფარგლებით“.<sup>9</sup>

„ტერმინი „ვალდებულება“ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება მართალია, ის უპირატესად აღნიშნავს განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, მაგრამ ზოგჯელ გულისხმობს მოვალის ვალდებულებას ( ვალს ) ან დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირებულია ასეთი ვალდებულება ( ხელერილი, ქვითარი და სხვა.)“.<sup>10</sup> ვალდებულების სინონიმად სამოქალაქო კოდექსი იყენებს მოვალის ცნებასაც. მაგადითად: მოვალეობის ცნება ნახსენებია ს.ს.კ-ს 477-ე მუხლში.

ვალდებულებითი ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ურთიერთობაა. იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებებისაგან. „ვალდებულებითი ურთიერთობი ორ სუბიექტს – კტრდიტორსა ( მოთხოვნის უფლების მქონე პირი ) და მოვალეს ( პირი, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ) შორის წარმოშობილი ურთიერთობაა. ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება“.<sup>11</sup> ვალდებულების ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი (ფარდობითი) რელატიური სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად. შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა ფარდობითი ბუნების არის. „ვალდებულების ფარდობითი ბუნება გამომდინარეობს კერძო ავტონომიის ნეგატიური ფუნქციიდან, რაც გულისხმობს შემდეგს: პირი უფლებამოსილია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს არა მხოლოდ ის, თუ როდის, ვისთან და რა

---

<sup>9</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 14. იხ. ლინკი: [http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>10</sup> ახვლედიანი ზ., (199). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი", გვ. 6

<sup>11</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: "სამართალი". გვ. 24

პირობებით დადებს ხელშეკრულებას, არამედ ისიც – დადებს თუ არა საერთოდ ხელშეკრულებას და იკისრებს თუ არა რაიმე ვალდებულებას.”<sup>12</sup>

„ვალდებულების ცნების შინაარსისა და ფარგლების ახსნა lex mercatoria-ს გარემესრულყოფილი ვერ იქნება. თანამედროვე lex mercatoria უნდა გავიგოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული სამეწარმეო ხასიათის მქონე ჩვეულებები და შეხედულებები, რომლებიც ამ ბრუნვის მონაწილეთა ყოველდღიური გამოცენების საგანია და რომლებიც გავლენას ახდენს მათი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციაზე.“<sup>13</sup>

### ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

„ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“.<sup>14</sup> სამოქალაქო კოდექსი ( მუხლი 317 ), ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს შორის უპირატესობას ანიჭებს ჯერ ხელშეკრულებას, შემდეგ არასახელშეკრულებო ვალდებულებას. ს.ს.კ–ს 317–ე მუხლიდან გამომდინარე წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ვალდებულებები იყოფიან ორ ტიპად – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ( დელიქტური,

---

<sup>12</sup> ვაშაკიძე. გ.(ბოლო დამუშავება 26 ოქტომბერი, 2016). *შესავალი ვალდებულებით სამართალში*. თბილისი, გვ. 9. იხ. ლინკი:<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf>

<sup>13</sup> ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014). *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 39–40. იხ. ლინკი:[http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)

<sup>14</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317*. თბილისი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

კანონისმიერი) ვალდებულებებად. სახელშეკრულებო ვალდებულებები განისაზღვრება არა მხოლოდ კანონით, ასევე ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით, კანონისმიერი ვალდებულებების შინაარსი კი დამოკიდებულია მხოლოდ კანონზე.

„ხელშეკრულება – ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შემდეგია, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, რომლის ძალითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება.“<sup>15</sup> მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი პირი თავისუფალია, ვისთანაც უნდა იმასთან დაამყაროს ურთიერთობა და განსაზღვროს ამ ურთიერთობის შინაარსი. მხარეთა „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს მონაწილეებს ვალდებულებებისაგან, გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და განსაზღვრული ურთიერთობის შინაარსი არ იყოს იმპერატიული ნორმების საწინააღმდეგო.

„სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის საფუძველი არის ხელშეკრულება (ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება). **ორმხრივი** (მრავალმხრივი) ვალდებულებითი ურთიერთობების შემთხვევაში მონაწილეები ერთდროულად კრედიტორებიც არიან და მოვალეებიც.“<sup>16</sup> შესაბამისად, ყველა ხელშეკრულება გარიგებაა. „მაგრამ ყველა გარიგება ხელშეკრულება არაა (ცალმხრივი გარიგება ხელშეკრულება არ არის) ხელშეკრულების დასადებად ორი (ან მეტი) პირის ნების შეთანხმებაა საჭირო, მაგრამ ხელშეკრულება გულისხმობს არა ორი (ან მეტი) პირის არა ყოველგვარ შეთანხმებას, არამედ ისეთს, რომელიც მისი მონაწილეებისათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და

---

<sup>15</sup> თოდუა მ., ვალემსი.პ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 15. იხ.

ლინკი:[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>16</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: "სამართალი". გვ. 30

ვალდებულების წარმოშობას შეცვლას ან შეწყვეტას.“<sup>17</sup> სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობებია: ნასყიდობა, სესხი, ქირავნობა, იჯარა და ასე შემდეგ.

„ვალდებულებით–სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების დადების შემდგომ. ხელშეკრულება დადებულად იღვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“<sup>18</sup>

**კანონისმიერი** (არასახელშეკრულები) ვალდებულებები პირდაპირ კანონითა განსაზღვრული. გარდა სახელშეკრულებო ვალდებულებების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლში ასევე საუბარია ისეთ ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. აღნიშნული მუხლი მიუთითებს ისეთ კანონიერ ვალდებულებებზე, რომელიც **1. წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე; 2. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.**

დელიქტური სამართლის წარმოშობის მომენტად მიჩნეულია რომში მანიუს აკვილიუსის კანონის (lex Aquilia) მიღება, რომელიც ქონების განადგურებისა და სიცოცხლის ხელყოფისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებდა.<sup>19</sup> „დელიქტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართლის დარღვევას, დანაშაული.<sup>20</sup> „არასახელშეკრულებო“ ზიანი არმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. მას ხშირად უწოდებენ ასევე „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას,“

<sup>17</sup> ახვლედიანი ზ., (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: "სამართალი" გვ. 10.

<sup>18</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. მუხლი 327 (2019). თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>19</sup> ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014). *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 68. იხ. ლინკი: [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)

<sup>20</sup> ჩიტოშვილი.თ. (2008). დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი სპექტი. *მართლმსაჯულება*, N1, 49. იხ. ლინკი: [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/jur%20martlmsajuleba%202008%20weli%20\(1\).pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/jur%20martlmsajuleba%202008%20weli%20(1).pdf)

„უნებართვო ქმედებისაგან წარმოშობილ ურთიერთობებსა“.<sup>21</sup> სსკ-ს 992 მუხლის თანახმად კი „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“ აღნიშულის შესაბამისად დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად, მხარეთა ნების გამოვლენის გარეშე და აკისრებს ვალდებულებას მართლსაწინააღმდეგოდ, ბრალეულად ან ბრალის გარეშე სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

„უსაფუძვლო გამდიდრება ანუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლება ასევე შეიძლება გახდეს კანონისმიერი ვალდებულების წარმოშობის საფუძველი“.<sup>22</sup>

სსკ-ს 317-ე მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ დელიქტური და უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებებით და მიუთითებს „კანონით გათვალისწინებულ სხვა საუძვლებზეც“. მათ მიეკუთვნება :

- ა) მესაკუთრესა და მოგირავნეს შორის არსებული ურთიერთობები;
- ბ) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება;
- გ) საზიარო უფლებებიდან წარმოშობილი ურთიერთობები;
- დ) მესაკუთრესა და უზუფრუქტარს შორის არსებული სანივთო

სამართლებრივი ურთიერთობები.

კანონი შეიძლება სხვა ვალდებულებებსაც ითვალისწინებდეს , რომლებიც წარმოიშობა მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე.

„კანონისმიერი ვალდებულებების განმტკიცებით კანონმდებელი მიზნად ისახავს იმ პირთა (დაზარალებულის) უფლებების დაცვას, რომლებიც სხვისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ან მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლოატაციის შედეგად დაზარალდნენ.“<sup>23</sup>

---

<sup>21</sup> ჩიკვაშვილი შ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 4, ტ.2, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, "სამართალი". გვ. 379

<sup>22</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წიგნი 3*,. თბილისი: "სამართალი". გვ. 47

<sup>23</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3*. თბილისი: "სამართალი". გვ. 48

ზოგი ტიპის ხელშეკრულების დადება ხშირად ხანგრძლივ და რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რომელთაც წინ მოსამზადებელი პერიოდი უძღვის. ხელშეკრულების დადებამდე მხარეები დებენ წინასწარ ხელშეკრულებას. სსკ-ს 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზე.“ „წინარე ხელშეკრულების დადების ეტაპს ძირითადად ხელშეკრულების მომზადების პერიოდი ეწოდება. წინარე ხელშეკრულებაც ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა იმ განსხვავებით, რომ ძირითადი მიზანი გარიგებისა მხარეებს ჯერ ხელშეკრულების ფორმით არ ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ ვალდებულება, კერძოდ ხელშეკრულების დადების ვალდებულება ამ ეტაპზე წარმოიშობა“.<sup>24</sup> ვინაიდან, წინარე ხელშეკრულებაც ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა წინარე ხელშეკრულების ძალით მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება.

„გარდა აღნიშნულისა, ვალდებულების წარმოშობის საუბველი შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომლითაც დადგენილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია“.<sup>25</sup>

### 1.3 ვალდებულების შესრულების საგანი

„ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს ის, რაზედაც მიმართულია კრედიტორის უფლება (მოთხოვნის უფლება) და მისი შესაბამისი მოვალის ვალდებულება. რამდენადაც კრედიტორის ვალდებულება მიმართულია მოქმედების შესრულებაზე (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე), მოქმედება ( ან მოქმედებისაგან თავის შეკავება ) წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს.“<sup>26</sup>

<sup>24</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3*. თბილისი, "სამართალი". გვ. 49

<sup>25</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 16. იხ. ლინკი:[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>26</sup> ახვლედიანი ზ., (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ. 7

რადგანაც ვალდებულებითი ურთიერთობები, როგორცაა ნარდობა, ნასყიდობა, დავალება და ა. შ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით და გამოიხატებიან სხვადასხვა მოქმედებით მაგალითად: ნარდობისას სამუშაოს შესრულებაში, ნასყიდობისას – ქონების გადაცემაში და ა.შ. უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ ვალდებულებათა ობიექტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

„ხშირად მოქმედება მიმართულია რაიმე ქონებაზე ან არამატერიალურ სიკეთეზე, რასაც ვალდებულების საგანს უწოდებენ.“<sup>27</sup> „ვალდებულების შესრულების საგანია ის ნივთები, სამუშაო მომსახურება და სხვა, რომელიც ვალდებულების ძალით მოვალემ უნდა გადასცეს, შეასრულოს ან გაწუდოს კრედიტორს მაგალითად: ვალდებულების შესრულების საგანს წარმოადგენს ავტომობილი, რომელიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს).“<sup>28</sup>

„ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს ერთი (მაგალითად, განსაკუთრებული ნივთი, რომელიც ერთმა მახარემ უნდა გადასცეს მეორეს), ან რამდენიმე საგანი, (მაგალითად, რმუნებულს ხელშეკრულებით დაევალა ნივთის შექმნა, მისი შეკეთება და სხვა ქალაქში გადაგზავნა). ზოგჯერ ვალდებულებას რამდენიმე საგანი აქვს იმ პირობით, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ერთ– ერთის გადაცემით.“<sup>29</sup>

#### 1.4 ვალდებულების შესრულება

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361–ე მუხლის თანახმად:

1. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.
2. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“<sup>30</sup>

---

<sup>27</sup> ახვლედიანი ზ., (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ. 7

<sup>28</sup> ახვლედიანი.ზ. (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: "სამართალი". გვ. 44

<sup>29</sup> "იქვე"

<sup>30</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 361. (2019). თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება. მოცემული მუხლიდან უნდა გამოვყოთ ვალდებულების შესრულების სამი პირობა. ესენია:

1. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად;
2. ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად;
3. ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროსა და ადგილას.

„ ვალდებულების **ჯეროვანი შესრულება** გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა (მოქმედებათა) განუხრელად დაცვას, რომელიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. მართალია, ჯეროვანი შესრულება ზედმიწევნით შესაფერისია სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის, იგი არასახელშეკრულებო ვალდებულებაშიც გამოიყენება.“<sup>31</sup>

„კეთილსინდისიერების პრინციპი“ არამარტო ვალდებულებითი სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის პრინციპია. კეთილსინდისიერი ქცევა ევალება ვალდებულებითი ურთიერთობის ნებისმიერ სუბიექტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კეთილსინდისიერების განმარტებას არ იძლევა. ჩნდება კითხვა რას გულისხმობს კეთილსინდისიერება? „კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.“<sup>32</sup>

სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის დროს მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ვალდებულების შესრულების ადგილი ხელშეკრულებით. მაგრამ როგორ ხდება შესრულება მაშინ თუ ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს? ასეთ დროს შესრულების ადგილი დამოკიდებულია იმაზე, როგორი საგნების (ინდივიდუალური თუ გვარეობითი) გადაცემას ეხება საკითხი.

---

<sup>31</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ 267–268

<sup>32</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001), *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 270

„თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

ბ. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო ; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.“<sup>33</sup> შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესრულებას (იქნება ეს ნივთის გადაცემა თუ სხვა).

„ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნას. ის ჩვეულებრივ განისაზღვრება ხელშეკრულებით, ცალმხრივი გარიგებით, სსამართლოს გადაწყვეტილებით და ზოგჯერ კანონითაც შეიძლება იქნეს დადგენილი.“<sup>34</sup> მაგ: თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულება ხუთი თვის განმავლობაში უნდა შესრულდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ხუთი თვის განმავლობაში (ყოველ მომენტში) შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ თუ მხარეებში შეთანხმდნენ კონკრეტული წლის კონკრეტულ თვესა და რიცხვში, მაშინ შესრულება უნდა მოხდეს ამ პერიოდში, თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს ვალდებულების ვადამდე შესრულებას (სსკ–ს 364–ე მუხლი) და კრედიტორის უფლება მოითხოვოს დაუყოვნებლივ შესრულება (სსკ–ს 367–ე მუხლი). რა ხდება მაშინ, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა? „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მიში შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.“<sup>35</sup>

<sup>33</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 362. (2019).  
თბილისი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>34</sup> ახვლედიანი ზ., (1999). ვალდებულებითი სამართალი. თბილისი: "სამართალი".გვ. 47

<sup>35</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 365. (2019).  
თბილისი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა ვალდებულებების დარღვევაა, რასაც თან ახლავს შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაზეც შემდგომ თავში იქნება საუბარი.

## თავი 2

# ვალდებულების დარღვევა და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

### 2.1 ვალდებულებითი დარღვევის სახეები

„ვალდებულების დარღვევა არის მოვალის ისეთი ქმედება, რომელიც ობიექტურად არ შესაბამება ვალდებულებათა წრესა და ვალდებულებით ურთიერთობას.“<sup>36</sup> სსკ-ს 361-ე მუხლის შესაბამისად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“<sup>37</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულება შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში თუ, ის შესრულდა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გამოდის, რომ ამის საპირისპირო ქმედება არ ჩათვლება ვალდებულების შესრულებად, როდესაც მხარე ( მოვალე ) არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას შესაბამისი პირობებით ეს უკვე ვალდებულების დარღვევაა ანუ სახეზე გვექნება ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა). მოცემული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ხელშეკრულების დარღვევა გამოიხატება რამდენიმე ფორმით ესენია: ვალდებულების შეუსრულებლობა, ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულება, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება.

### არსებითი დარღვევა

---

<sup>36</sup> სმაჩალაძე ს. (2004). ზიანის ანაძღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათ შედარებითი ანალიზი). *ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება*, 72–101. იხ. ლინკი:

<http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>

<sup>37</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 361. (2019). თბილისი.იხ:ლინკი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

სსკ აწესრიგებს: არსებით და უმნიშვნელო დარღვევას.<sup>38</sup> „ესა თუ ის დარღვევა არსებითინ იქნება თუ უმნიშვნელო, ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით წყდება.“<sup>39</sup> „არსებითი იქნება ხელშეკრულების დარღვევა, თუკი ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია.“<sup>40</sup>

არსებით დარღვევას განმარტავს გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციის 25-ე მუხლი: რომელიც არსებით დარღვევას უკავშირებს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც ერთი მხარე მნიშვნელოვნად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და გონიერი პიროვნება მის ადგილზე ანალოგიურ ვითარებაში ვერ გაითვალისწინებდა ამას.<sup>41</sup>

### ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, თუმცა შესრულება არ შეესაბამება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. „არაჯეროვანი შესრულება გულისხმობს შესრულების შინაარსის ან სახის განსხვავებას ისეთი შესრულებისაგან, როგორც კანონმა განსაზღვრა ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს.“<sup>42</sup>

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 405.3.ა. (2019). თბილისი, იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>39</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი", გვ. 41

<sup>40</sup> „იქვე“

<sup>41</sup> თუმანიშვილი.გ, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ნაწილი 2, თბილისი, 2010, გვ 170, <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>

<sup>42</sup> მაჩალაძე ს. (2004). ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი). ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 82. იხ. ლინკი: <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 281-ე პირველი პარაგრაფის მიხედვით: თუ მოვალემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა სახეზეა, არაჯეროვანი შესრულება.<sup>43</sup>

არაჯეროვანი შესრულების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება. სსკ იცნობს ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლს. სსკ-ს 487-ე მუხლის თანახმად: „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.“<sup>44</sup> სსკ-ის მსგავსად გსკ-ის ცნობს ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლს, როლის განმარტებასაც იძლევა გსკ-ს 434-ე და 435-ე პარაგრაფები, სადაც ჩამოთვლილია შემთხვევები, როდის არის ნივთი ნაკლის მქონე. სსკ-ს მიხედვით ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისა. თუ ხარისხი წინასწარ არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოა თუ ვარგისია სარგებლობისთვის. ხოლო უფლებრივად უნაკლოა ისეთი ნივთი, რომლის მიმართაც მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია.<sup>45</sup>

### მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება

ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახეა. ვალდებულების შესრულება მოვალის მიერ ვადაგადაცილებულად ჩაითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში მოვალე ვალდებულებას არ შეასრულებს, ასევე, როცა მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც არ ასრულებს ვალდებულებას.<sup>46</sup>

---

<sup>43</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 281 პირველი პარაგრაფი.  
იხ.ლინკი:<http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>

<sup>44</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 487 (2019). თბილისი.იხ. ლინკი:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>45</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 488 და 489 (2019). თბილისი.იხ. ლინკი:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>46</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 400 (2019). თბილისი.იხ. ლინკი:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

გსკ-ის 286-ე პარაგრაფი გაცილებით კონკრეტულია სსკ-ის მე-400 მუხლთან შედარებით ის მკაფიოდ განსაზღვრავს ვადის გადაცილების პირობებს, მაგ: გსკ-ის 286-ე პარაგრაფი ადგენს, რომ ვადის გადაცილებისათვის გაფრთხილება არა საჭირო, თუ შესრულების ვადა კალენდარულად არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, გსკ-ის მიხედვით გაფრთხილება არაა საჭირო, თუ შესრულება უკავშირდება გაურკვეველი მოვლენის დადგომას.<sup>47</sup> „ეს ის შემთხვევებია, როცა შესრულების ვადა იწყება გარკვეული მოვლენის შემდეგ და იგი ისეა დადგენილი, რომ მისი გამოანგარიშება ამ მოვლენის შემდეგ კალენდრის მიხედვით არის შესაძლებელი.“<sup>48</sup>

სსკ-ს 401-ე მუხლის თანახმად: „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.“<sup>49</sup> მაგ: მოვალის მიერ ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება ისეთ შემთხვევაში, როცა კრედიტორი თვითონ აყოვნებს შესრულების მიღებას.

ქართული სამოქალაქო კოდექსი მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებას გერმანულ სამართალში მიღებული წესების ანალოგიურად აწესრიგებს. „თუკი მოვალის მიერ ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას, დარღვევა იშვიათ გამონაკლისს მიეკუთვნება ეს განპირობებულია იმით, რომ შესრულების მიღება კრედიტორის უფლებაა და არა ვალდებულება.“<sup>50</sup>

---

<sup>47</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 286 მე-2 პარაგრაფი იხ. ლინკი: <http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>

<sup>48</sup> მაჩალაძე ს. (2004). ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი). *ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, გვ. 79, იხ. ლინკი:* <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>

<sup>49</sup> „იქვე“

<sup>50</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3 პ, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 416

## 2.2 პასუხისმგებლობის სახეები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას

სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი და ხარისხიანი განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების ვალდებულებათა ნორმალურ რეალიზაციას, თუმცა ხშირად მხარეები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, რასაც სახელმწიფოს მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება, რაც გამოიხატება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების დამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს არამართო „სახელშეკრულებო“ ზიანისათვის, არამედ „არასახელშეკრულებო“ ზიანისთვისაც.<sup>51</sup> „იურიდიული პასუხისმგებლობა დგება სამართალდარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ–ერთი სახეა, ამიტომ მას ახასიათებს როგორც სპეციფიკური, ასევე საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.“<sup>52</sup>

„ყოველი სანქცია, რომელსაც კანონო ადგენს ვალდებულების დარღვევისათვის, არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთი სანქციები წარმოადგენენ, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებით მოქმედათ შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ეკისრება.“<sup>53</sup>

„სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ვალდებულების დარღვევას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ამირომაც, ქონებრივი სანქცია, რომელიც

---

<sup>51</sup> დუნდუა მ., (2009). დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. *სამართლის ჟურნალი N1*, 52. იხ. ლინკი: [http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

<sup>52</sup> „იქვე“

<sup>53</sup> ახვლედიანი ზ., (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ. 64

გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენას ან კომპენსაციას.<sup>54</sup>

ამრიგად, სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად, დამრღვევ პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაზარალებული პირის მდგომარეობის აღსადგენად, რომელიც გამოიხატება კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით.

### სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები

„ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფოებო და არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობას. სახელმწიფოებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმწიფოების მხარე არ ასრულებს ხელმწიფოებიდან გამომდინარე ვალდებულებას; არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობა კი მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელმწიფოებო ურთიერთობაში.“<sup>55</sup>

პასუხისმგებლობის ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება. თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოიშობა, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თუ ზიანი პირს მიადგა სახელმწიფოებო ვალდებულებების შეუსრულებლობით, მაშინ ზიანიათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელმწიფოების პირობებით და იმ ნორმათა წესებით, რომლებიც ასეთ ურთიერთობას არეგულირებს.<sup>56</sup>

---

<sup>54</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*, გვ. 37, იხ. ლინკი:

[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>55</sup> დუნდუა მ., (2009), დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. *სამართლის ჟურნალი*, N1, 54. იხ.

ლინკი:[http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

<sup>56</sup> ახვლედიანი ზ., (1999), *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ. 65

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას რა სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებები გააჩნია კრედიტორს თავისი ინტერესების დასაცავად?

ასეთ დროს თეორიულად შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება. 1. პირველ რიგში, კრედიტორს შეუძლია კონკრეტული ქმედების შესრულების მოთხოვნა; 2. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფინანსური ანაზღაურება ზიანისათვის; 3. ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც გააჩნია ორივე მხარეს, კრედიტორს უფლება აქვს, არ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მანამ, სანამ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ ვალდებულებას და ბოლოს 4. უკიდურეს შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეწყვიტოს იგი და ამგვარად დაასრულოს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.<sup>57</sup>

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს დაკისრების, ფულადი ვალდებულებების დარღვევისათვის კი პროცენტის დაკისრებით, თუმცა აქედან მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურება, რადგანაც ის გამოიყენება, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებათ დარღვევის დროს.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს მოვალის მხარეზე შეიძლება იყოს რამდენიმე ზიანის მიმყენებელი პირი. ამის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ წილად, სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

**წილადი** პასუხისმგებლობის დროს თითოეულ მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული წილის შესაბამისად. მაგ: მემკვიდრეები პასუხს აგებენ მამკვიდრებლის ვალზე თავიანთი წილის შესაბამისად.

**სოლიდარული** პასუხისმგებლობის დროს კრედიტორს უფლება აქვს თითოეულ მოვალეს წარუდგინოს მოთხოვნა მიყენებული ზიანის როგორც სრული მოცულობით, ასევე ნაწილის ანაზღაურებაზე. სოლიდარული

<sup>57</sup> თოდუ მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, გვ. 116. იხ. ლინკი: [http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

პასუხისმგებლობა დგება კანონით ან ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანია **სუბსიდიური** პასუხისმგებლობა, ვინაიდან ამ დროს საკითხი ეხება არასრულწლოვანის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის. აქ ბევრი საკითხი ბუნდოვანია და შესაბამისად ჩნდება კითხვები. აგებს არასრულწლოვანი პირი პასუხს მიყენებული ზიანისათვის? ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არ აქვს საკმარისი ქონება ანშემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც. ( სსკ-ის 994-ე მუხლი)

ჩემი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია რეგრესიული ანაზღაურების საკითხი მას გვერდს ვერ ავუვლით. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი პასუხს აგებს სხვა პირის ბრალისათვის. მაგ: ა პირი ვალდებულია ბ-ს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი ამ დროს ც-ს შეუძლია აუნაზღაუროს ბ-ს ა-ს მიერ მიყენებული ზიანი, შემდეგ, კი რეგრესისი წესით ა-ს მოთხოვოს გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე გვექონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.<sup>58</sup>

### **დელიქტური პასუხისმგებლობის ელემენტები**

სამწუხაროდ ქართული კერძო სამართალი არ იძლევა დელიქტის სამართლებრივ განმარტებას, თუმცა სსკ-ის 992-ე მუხლი ზოგადად აყალიბებს ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობის ელემენტებს. „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“<sup>59</sup> აღნიშნული

<sup>58</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 364

<sup>59</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992*. თბილისი. იხ. ლინკი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობის დაკისრება (ზიანის ანაზღაურება) შესაძლებელია, თუ არსებობს შემდეგი ოთხი ელემენტი: 1. მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 2. ზიანი; 3. მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. 4. მოვალის ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა).

#### ა) მართლწინააღმდეგობა

ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო. მართლსაწინააღმდეგო ქმედება იგივეა, რაც არამართლზომიერი მოქმედება. მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებს ის, ვინც არღვევს პოზიტიური (დაწერილი) სამართლის ნორმათა მოთხოვნებს, პირის სამართლის ნორმით გამტკიცებულ უფლებებსა და სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. შესაბამისად, თუ პირის ქმედება მართლზომიერია, არ არღვევს სამართლის ნორმებს და მის მოთხოვნებს მას ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება. (თუმცა, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისებიც). მართლსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს მოვალის უმოქმედობა მაშინ, როცა მოვალეს ნაკისრი აქვს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება.

მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალე აცნობიერებდა თუ არა თვის მოქმედების სამართლებრივ ხასიათს. მოვალე ბრალეულად დაარღვევს თვის ვალდებულებას, თუ ბრალის გარეშე, ვალდებულების დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგო იქნება. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით უფლებას არღვევს, ხოლო არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლუტური უფლებები.<sup>60</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, დელიქტური მოთხოვნები აუცილებლად გამომდინარეობს დაზარალებულის უფლებებისა ან სამართლებრივი სიკეთის უკანონო დარღვევიდან. აღნიშნული ეხება ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც

---

<sup>60</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 364

მდგომარეობს გარიგებიდან წარმოშობილი ურთიერთობის მიღმა.<sup>61</sup> გსკ-ის 823 პარაგრაფიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები წინაპირობად ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობას. მაგრამ რას ეხება მართლწინააღმდეგობის შეფასება – დამდგარ შედეგს, თუ ზიანის მიმყენებლის მხრიდან ზიანის მიმყენებელ მოქმედებას. აღნიშნული საკითხები გსკ-ის მიხედვით უფრო დეტალურადაა განხილული.

ამრიგად, საქართველოსი და გერმანიის სამართლებრივი მიდგომა აღნიშნულ საკითხის მიმართ ანალოგიურია, თუმცა სსკ-ის 992-ე მუხლი მაინც არ იძლევა დელიქტის სრულ და ლეგალურ დეფინიციას, მიუხედავად იმისა, რომ რო სსკ 992-ე მუხლს სახელად “ცნებას” არქმევს. ამიტომ მის გასაგებად გვჭირდება გსკ-ის შესაბამისი ნორმების მიმოხილვა, ვინაიდან გერმანული სამართალი უფრო დეტალურად, სიღრმისეულად განიხილავს ამ საკითხს.

## ბ) ზიანი

სამართალდარღვევის შემდეგი, აუცილებელი, ელემენტია ზიანი. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი არის მართლწინააღმდეგო მოდმედების შედეგი. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.<sup>62</sup>

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“<sup>63</sup>

ზიანი წარმოადგენს ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობას. ანაზღაურების ვალდებულება არსებობს ზიანის არსებობის შემთხვევაში. თუ ზიანი არ არსებობს, მისი ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების კლასიკური მაგალითი იქნება, როცა „დაზარალებული“ თვითონ მოგვევლინება „ვითომ

---

<sup>61</sup> კროპოლერი ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ დავალებით, პარაგრაფი 823, 623, ველი 1.* თბილისი. იხ. ლინკი: <http://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>

<sup>62</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3,* .ვალდებულებითი სამართალი, თბილისი: "სამართალი". გვ. 366

<sup>63</sup> ჩიკაშვილი შ. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 2, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი,* თბილისი, "სამართალი". გვ. 378

კრედიტორის“ როლში, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს ის, რაც უსაფუძვლოდ მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს. **სახელშეკრულებო** ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგია, ამ დროს მხარეები იმყოფებიან განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით განისაზღვრება ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო **არასახელშეკრულებო**ა ისეთი ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როცა მხარეები არ იმყოფებიან ვალდებულებით ურთიერთობებში.<sup>64</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს **ქონებრივ** და **არაქონებრივ** (მორალურ) ზიანს. ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას. სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება **ქონებრივ** ზიანად. **მორალური** ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრამვა, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. მისი ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.<sup>65</sup>

**გ) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის**

სამართაკლდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია მიზეზობრივი კავში მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. „სსკ-ის თანახმად: „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც

<sup>64</sup> ჩიკვაშვილი შ. (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 2, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, თბილისი, "სამართალი". გვ. 378

<sup>65</sup> ჩიკვაშვილი შ., (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 2, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, თბილისი, "სამართალი". გვ. 380

მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოსდგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“<sup>66</sup>

მიზეზობრივი კავშირი ერთ–ერთ მნიშვნელოვან და სადისკუსიო პრობლემას წარმოადგენს ქართულ სამართალში. ამ საკითხის ახსნა–განმარტებისათვის უმჯობესია და მიმაჩნია, რომ აუცილებელიც თეორიულთნ ერთად განხილულ იქნეს სასამართლო პრაქტიკა, რადგანაც სასამართლო ადგენს არის, თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

„ყველაზე საფუძვლიანად ეს საკითხი გერმანულ და ავსტრიულ სამართალშია შესწავლილი. „აუცილებელი პირობის“ თეორიის თნახმად, ნებისმიერი პირობა დამდგარი შედეგის მიზეზია, თუკი იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა. ასეთ მიზეზობრიობას „ეკვივალენტურსაც“ უწოდებენ, რადგან შედეგის დადგომაში ყველა პირობას თნაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი პირობაც რომ გამოაკლდეს, შედეგი არ დადგება. მოკლედ, მოქმედება შედეგის ეკვივალენტური უნდა იყოს.“<sup>67</sup> გერმანიის სამართალი იცნობს „ადეკვატური მიზეზობრიობის“ თეორიას, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. ადეკვატურად ითვლება ისეთი მოქმედება, რომლის გარეშეც აღნიშნული შედეგი არ დადგებოდა.“<sup>68</sup>

სამოქალაქო კოდექსის 412–ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ქართული სამართალი ცნობს „უშუალო მიზეზს“ . აღნიშნული ბევრად არ განსხვავდება „ადეკვატური მიზეზისაგან“. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ყოველთვის მარტივი არ არის. აღნიშნული საკითხის დადგენა და გადაწყვეტილების მიღება სასამართლოზეა,სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს რელევანტურ და არალერევანტურ ფაქტებსა და ქმედებებ, რადგან იპოვოს მათ შორის არსებული

---

<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 401. (2019). თბილისი, იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>67</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3. 3, ვალდებულებითი სამართალითბილისი: "სამართალი", გვ. 369

<sup>68</sup> „იქვე“

კავშირი და მიიღოს გადაწყვეტილება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის განმარტებისათვის სასამართლო პრაქტიკა.

#### დ) ბრალი

ბრალი სამართალდარღვევის მეოთხე და ერთ–რთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის მოქმედი თეორია ანალოგიურია გერმანული კონცეფციების, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეულებრივი ყურადღებულობის დაცვა. სამოქალაქო კოდექსი ბრალეული პასუხისმგებლობის პოზიციაზე დგას, ამასთან, იგი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც, როგორც სახელშეკრულებო ისე არასახელშეკრულებო სამართალში.<sup>69</sup>

„ერთულ ცივილისტურ დოქტრინაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება. მიზანშეწონილია, არსებობდეს ბრალის განსაზღვრება, რომელიც შესაძლოა, ასეც ჩამოყალიბდეს: ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებითა და სურვილით, ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულობის დაუცველად.“<sup>70</sup>

სსკ–ის 395–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. აღნიშნულის თანახმად ქართული სამართალი ცნობს ბრალის ორ ფორმას: **განზრახვა** და **გაუფრთხილებლობა**.

განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa) პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. **გაუფრთხილებლობა**, თავის მხრივ

<sup>69</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3. 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი", გვ. 370–371

<sup>70</sup>ქოჩაშვილი. ქ. (2009). ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა). *სამართლის ჟურნალი*, N1, 89. იხ. ლინკი:[http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

შეიძლება დაიყოს უხემ (culpa lata) და მარტივ (culpa levis) ფორმებად. სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ცალკეული ფორმების არსებობა იურიდიული მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.<sup>71</sup>

გაზრახვის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახვის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახვა ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახვის ცნობისათვის საჭიროა ორი ელემენტი: ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატიური).<sup>72</sup>

ჩიტაშვილი ნ. აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განზრახვა მოიაზრებს უხემ გაუფრთხილებლობასაც. განზრახ ქმედებად განიხილება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თვისი ქცევის შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გუგრილად ეკიდება შედეგის დადგომას.<sup>73</sup>

სამოქალაქო კოდექსი გაუფრთხილებლობის ცნებას არ იძლევა ის ფასდება ობიექტური კრიტერიუმებით, ანუ გაუფრთხილებლობის ცნება არაა დამოკიდებული ყურადღებიანობის ხარისხზე, რომელიც შეიძლება გამოიჩინოს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტმა (ბრალეულმა პირმა).<sup>74</sup> ე.ი მსგავს სიტუაციაში

---

<sup>71</sup> ჩიტაშვილი ნ., (2009). ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, *სამართლის ჟურნალი*, N1, , 149. იხ.  
ლინკი::[http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

<sup>72</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3., 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 382.

<sup>73</sup> ჩიტაშვილი ნ., (2009). ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, *სამართლის ჟურნალი*, N1, , 151 იხ.  
ლინკი::[http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

<sup>74</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 384

გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის მოქმედების პრეზუმცია, რომლის საფუძველია გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი ნდობის პრინციპი, რომლის თნახმად, სამართლებრივი ბრუნვის ყველა ყოველ მონაწილე იმოქმედებს ისეთი გულმოდგინებით, როგორც ნორმალურად მიიჩნევა.<sup>75</sup>

გაუფრთხილებლობა იყოფა უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობად. „უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღლი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით.“<sup>76</sup> შესაბამისად განსხვავება მარტივ და უხეშ გაუფრთხილებლობას შორის აუცილებელი ყურადღებიანობის ხარისხშია.

როგორც ზემოთ ითქვა ქართული სამართალი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც, რომელიც გვხვდება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა რომ დადგეს აუცილებელია არსებობდეს დანარჩენი სამართალდარღვევის სამივე ელემენტები: მართლწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამგარ შედეგს შორის.

## 2.3 ზიანის ანაზღურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას

როდესაც მოვალე დაარღვევს ვალდებულებას (თუ რას გულისხმობს ვალდებულების დარღვევა ამაზე ზემოთ ვისაუბრე) კრედიტორ ენიჭება უფლება მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღურება.

---

<sup>75</sup> ქოჩაშვილი. ქ. (2009). ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა). *სამართლის ჟურნალი*, N1 , 90–91. იხ. ლინკი: [http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)

<sup>76</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 385–386.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ვალდებულების დარღვევისას ზიანის მოვალეობასთან დაკავშირებით წესები შეეხება ყველა შემთხვევას, სადაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.<sup>77</sup> შესაბამისად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, როგორცაა დელიქტი ანუ ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმენი შეიძლება ჩაითვალოს კერძო სამართლისათვის საეთო ზოგად პრინციპებად, თუ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეხება, მაშინ დელიქტურ ვალდებულებებზე ის ანალოგიის გზით შეიძლება გავრცელდეს. აღნიშნულ პრინციპზე მსჯელობს სსკ-ის 326-ე მუხლი რომლის მიხედვით: „წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა რასახელშეკრულებო ვალდებულებათ მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“<sup>78</sup>

„ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმაა ვალდებულების შესრულების ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დადგენილია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სანქციის სახით.“<sup>79</sup>

სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ ვრცელდება მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.<sup>80</sup> აღნიშნულ მუხლში საუბრია ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავ საუძველზე მოვალის პასუხისმგებლობის არ არსებობ ვალდებულების დარღვევისათვის, ანუ

---

<sup>77</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ. (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 129. იხ. ლინკი: [http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>78</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 326. (2019). თბილისი, იხ. ლინკი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>79</sup> ახვლედიანი ზ. (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ 64

<sup>80</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 394-ე მუხლი, 1 (2019). თბილისი. იხ. ლინკი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

იმისათვის, რომ კრედიტორმა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უნდა არსებობდეს მოვალის პასუხისმგებლობის საფუძველი ( მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი), რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე, როცა არსებობს ეს ყოველივე, მაშინ მოვალე ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი სრულად.

ანალოგიური წესი მოქმედებს გერმანიის სამოქალაქო სამართალში, რომელიც ვალდებულების დარღვევის ცნების ქვეშ აერთიანებს ყველა სახის დარღვევას, რომელიც კრედიტორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ძირითდი საფუძველია. გსკ-ის 280-ე პარაგრაფის თანახმად: „თუ მოვალე დაარღვევს ვალდებულებას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, თუ მოვალეს არ მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში.“<sup>81</sup>

ზიანის ანაზღაურების მოვალეობას აწესებს გსკ-ის 280-ე პარაგრაფი, მას ავსებს 280-ს მეორე პარაგრაფი ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უთითებს გსკ-ის 286-ე პარაგრაფზე. ეს ნორმები ვრცელდება ყველა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მაგრამ არასახელშეკრულებო მოთხოვნები, სახელშეკრულებოსაგან განსხვავებით, გარკვეულწილად, შეზღუდულია.<sup>82</sup>

უკანონო ქმედების გამო ზიანის დადგომას, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ზიანი უნდა მოჰყვეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. მოვალემ უნდა აღადგინოს, როგორც ლათინურადაა status quo ante.<sup>83</sup> ამ წესს სსკ-ის 408-ე მუხლში ვხვდებით, რომლის თანახმად: „იმ პირმა, რომელიც

<sup>81</sup> კროპოლერ ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ დავალებით, 280-ე პირველი პარაგრაფი*. თბილისი. იხ. ლინკი:<http://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>

<sup>82</sup> მაჩალაძე ს.. (2004). ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათ შედარებითი ანალიზი). *ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება*, 76. იხ. ლინკი:  
[http://docs.wixstatic.com/ugd/1ee20c\\_6c71939545804dd886cf2efe5025ee0f.pdf](http://docs.wixstatic.com/ugd/1ee20c_6c71939545804dd886cf2efe5025ee0f.pdf)

<sup>83</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 129, იხ. ლინკი:  
[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება.“<sup>84</sup>

სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა დაუშვებელია, თუ ეს გათვალისწინებული არ არის კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

„ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ეხება ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, არის კაუზაციის საკითხი. ანაზღაურების მოვალეობა ვრცელდება მხოლოდ ისეთ ზიანზე, რომელიც ვალდებულების დარღვევის გამო დადგა.“<sup>85</sup>

სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად: „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის ინასწარ იყო სავარაუდო და არმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“<sup>86</sup> აღნიშნული მუხლი განმარტავს რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს, თუმცა სასამართლოზეა განსაზღვროს ანაზღაურების ვალდებულების ფარგლები.

ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ქონებრივი (მატერიალური), ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანი. როგორც უკვე ვთქვი მორალური ზიანი დაკავშირებულია სულიერ ტანჯვასთან და განცდებთან მისი შეფასება და ფულადი სახით განსაზღვრა შეუძლებელია ამიტომ ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მიმართული ვერ იქნება ქონებრივი სფეროს აღდგენისკენ. მნიშვნელოვანია როგორ შეიძლება მოხდეს „არამატერიალური ზიანის“ ანაზღაურება?

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ

---

<sup>84</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 408-ე მუხლი, 1 (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>85</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). *ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 131, იხ. ლინკი:  
[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

<sup>86</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 412-ე მუხლი, 1 (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“<sup>87</sup> ამრიგად, კანონი ადგენს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფისას შეუძლია მოითხოვოს დაზარალებულმა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

„ერთ–ერთ გადაწყვეტილებაში მოსამართლე განმარტავს, რომ მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ–ფსიქიატრიულ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის მა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მისი ანაზღაურების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს, დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან ააცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მხრიდან. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების სრული რესტიტუცია, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული უხერხულობის, ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომლებიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.“<sup>88</sup>

## 2.4 პირგასამტეხლოსა და პროცენტის დაკისრება

### ვალდებულების დარღვევისას

ზიანის ანაზღაურების გარდა სამოქალაქო–სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს პირგასამტეხლოს გადახდით, პროცენტის დაკისრებით ფულადი ვალდებულების დროს ( მაგ: სესხის ხელშეკრულების დროს) და სხვა ფორმით.

სსკ–ის 417–ე მუხლის თანახმად: „ პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.“ აღნიშნულიდან

<sup>87</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 413–ე მუხლი, 1 (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>88</sup> გადაწყვეტილება, N 3/807-15 ( თბილისის საქალაქო სასამართლო, 2015 წელი, 23 ივნისი) იხ.  
ლინკი:<https://idfi.ge/public/upload/IDFI/DamagesDecisionTCC.pdf>

გამომდინარე პირგასამტეხლო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფულადი თნხით, რომელსაც მხარეები განსაზღვრავენ. იმისათვის, რომ მოხდეს პირგასამტეხლო უნდა არსებობდეს წინაპირობა სსკ-ის მიხედვით კი ასეთ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თვიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღურების უზრუნველყოფა, რაც არ წარმოადგენს ფაქტობრივი ძიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღურებას ემსახურება სესაბამისად, პირგასამტეხლოს მოთხოვნის პარალელურდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა დაშვებულია, თუ დარღვევა ვადაგადაცილებაში არ მდგომარეობს, ხოლო პირგასამტეხლოსთან ერთდ შესაძლებელია ზიანის ანაზღურების მოთხოვნაც.<sup>89</sup>

პირგასამტეხლო შეიძლება გადახდევენებულ იქნეს მაშინაც, როც ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია ზიანის მიყენება, ამიტომ პირგასამტეხლოს შესახებ მოთხოვნის წარდგენისას კრედიტორი არ არის ვალდებული დაამტკიცოს ზიანის არსებობა.<sup>90</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირგასამტეხლოს დაკისრება ზიანის ანაზღურებას არ გამორიცხავს, ანუ თუ ვალდებულების დარღვევას მოჰყვა ზიანი, მაშინ პირგასამტეხლოსთან ერთად უნდა ანაზღურდეს დამდგარი ზიანი რათქმუნდა, თუ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძვლები. პირგასამტეხლოს მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ, თუმცა ის არ უნდა იყოს შეუსაბამოდ მაღალი. სსკ-ის 420-ე მუხლი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებას იძლევა აღნიშნული უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. სსკ-ის 420-ე მუხლის

---

<sup>89</sup> მესხიშვილი. ქ. პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა) სამართლის ეროვნული ბიბლიოთეკა, იხ. ლინკი:[http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf)

<sup>90</sup> ახვლედიანი ზ. (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი, "სამართალი". გვ. 78

თანახმად: „ სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათ გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.“<sup>91</sup>

ფულადი ვალდებულების დარღვევისას მოვალეს ზიანის ანაზღაურებასთან ერთად შეიძლება დაეკისროს პროცენტი. „ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულებ დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.“<sup>92</sup>

ფულად ვალდებულებაში ნებისმიერი სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულება იგულისხმება მისი მოქმედების არეალი მხოლოდ სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებიდან წარმოქმნილი ფულადი ვალდებულებებით არ შემოიფარგლება.<sup>93</sup>

„პროცენტი“ ეს არის პერიოდული საზღაური კაპიტალით სარგებლობისათვის.<sup>94</sup>

სსკ-ის 403-ე მუხლის თანახმად: 1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არც შეუძლია.<sup>95</sup> არნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროცენტი არსებობს მხოლოდ ფულადი ვალდებულების დროს, თუ არ არსებობს ფულადი ვალდებულება, მაშინ არც პროცენტი იარსებებს გამოდის, რომ საპროცენტო ვალდებულება აქცესორულია და დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს, ის არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე. პროცენტის გადახდაზე მხარეები

---

<sup>91</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 420-ე მუხლი, 1 (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>92</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 383-ე მუხლი, (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>93</sup> მესხიშვილი ე. პროცენტის გადახდა ფულადი ტანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა). გვ. 5 იხ. ლინკი:[http://www.library.court.ge/upload/procentis\\_gadaxda.pdf](http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf)

<sup>94</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014.). სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი.გვ. 254

<sup>95</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 403-ე მუხლი, ნაწილი 1 (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

თანხმდებიან და თავადვე განსაზღვრავენ მას. იმისათვის, რომ წარმოიშვას პროცენტის გადახდის ვალდებულება სახეზე უნდა აიყოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა, რომელიც გამოწვეული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით და მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე.

ნორმის მიზანია კრედიტორისათვის ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებით მიყენებული მინიმალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც „პრეზუმირებულია“, რაც ნიშნავს, რომ ვადაგადაცილება ზიანის დადგომის ვარაუდისათვის საკმარისი პირობაა.<sup>96</sup>

## 2.5 ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს (ხელშეკრულებიდან გასვლა )

სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად: 1. „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა.“<sup>97</sup> აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე ორმხრივ ვალდებულებებში კანონი კრედიტორს ანიჭებს უფლებას ვალდებულების დარღვევისას გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუმცა ამისათვის საჭიროა არსებობდეს მთელი რიგი პირობები პირველ რიგში ვალდებულების დარღვევა, თუმცა ვალდებულების დარღვევისთანავე კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მანამდე მან მოვალეს უნდა განუსაზღვროს დამატებითი ვადა

<sup>96</sup> მესხიშვილი ქ. პროცენტის გადახდა ფულადი ტანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა). გვ. 5, იხ. ლინკი:[http://www.library.court.ge/upload/procentis\\_gadaxda.pdf](http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf)

<sup>97</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 405-ე მუხლი, ნაწილი 1, (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

და მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შეუძლია კრედიტორს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. დამატებითი ვადა გამოიყენება ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ამის მიზანი მოვალის ხელშეწყობაა, რათა მან შეძლოს დარღვეული ურთიერთობის გამოსწორება. კანონის თანახმად მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის.<sup>98</sup> როგორც ჩანს ვალდებულება შეიძლება ნაწილობრივ დაირღვეს, თუმცა ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევისას ყოველთვის ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი არაა. ხელშეკრულების ნაწილობრივ დარღვევისას კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა ვალდებულებისდარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა ინტერესი.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება ( სსკ-ის 405-ე მუხლი მე-2 ნაწილი)

„ ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

გ. განსაკუთრებული საფუძველიდან გამომდინარე , ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყონებლივ მოშლა.“<sup>99</sup>

„ხელშეკრულებაზე უარის თქმა უკიდურესი ღონისძიებაა.“<sup>100</sup> კრედიტორს ყოველთვის არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 405-ე მუხლის

---

<sup>98</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001), *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 434

<sup>99</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. 405-ე მუხლი, ნაწილი 2, (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>100</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 440

მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გარემოებებს, როდესაც კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს.

3. „ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ:

ა. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;

ბ. დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეუძლია მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;

გ. ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;

დ. მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.“<sup>101</sup>

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილის ტანახმად: „კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი.“<sup>102</sup> როგორც ჩანს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თმა შესრულების ვადის დადგომამდეც შეუძლია. აღნიშნული უფლებით კრედიტორმა ბოროტად არ უნდა ისარგებლოს, ამიტომ კანონმდებელი მოითხოვს, რომ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი აშკარა უნდა იყოს და არა მოჩვენებითი.<sup>103</sup>

როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე , მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ ნატურით. ნატურით დაბრუნების ნაცვლად შეიძლება მოხდეს ფულადი ანაზღაურებაც გარკვეულ შემთხვევებში.<sup>104</sup>

---

<sup>101</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 405-ე მუხლი, ნაწილი 3 (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>102</sup> „იქვე“

<sup>103</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.,(2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 444

<sup>104</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 352-ე მუხლი, (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

ხელშეკრულებიდან გასვლის დროს, კრედიტორს აქვს უფლება მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არის გამოწვეული.<sup>105</sup>

„ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.“<sup>106</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ხელშეკრულებიდან გასვლაზე ვრცელდება საერთო, 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. სსკ-ის 129 მუხლის მიხედვით კი სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, უძრავ ნივთთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების კი 6 წელს. ეს ერთ-ერთ სადავო საკითხია და სასამართლო პრაქტიკაც არსებობს განსხვავებული.

---

<sup>105</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 407-ე მუხლი, (2019). თბილისი.იხ.  
ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>106</sup> თოდუა მ., ვალემსი ჰ., (2006). ვალდებულებითი სამართალი. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 54, იხ.  
ლინკი:[http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)

## თავი 3

### ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

#### 3.1 შესრულების შეუძლებლობის ცნება და სახეები

„ვალდებულების შეუსრულებლობის შეუძლებლობა ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს. ამასთან, რომის სამართალი არ ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების შემდგომი შეუძლებლობის ინსტიტუტს და განსაზღვრავდა მხოლოდ საწყისი შეუძლებლობის შემთხვევებს, როდესაც ვალდებულება ხელშეკრულების დადებისთანავე კარგავდა აზრს. ამრიგად, ცელსიუსის ცნობილ გამონათქვამს : „Impossibilium nulla (est) obligatio” 9 არ არსებობს ვალდებულება განუხორციელებლის შესრულებისა) დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.“<sup>107</sup>

თავდაპირველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესრულების შეუძლებლობის საკითხს გერმანული სამართლის ანალოგიურად აწესრიგებდა, მაგრამ შემდგომ ეს აზრი უარყოფილ იქნა და დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ აწესრიგებს შესრულების შეუძლებლობის საკითხს.<sup>108</sup>

„ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არის თანამედროვე ვალდებულებითი სამართლის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ხშირად ხდება დავის საგანი და მას ფართო გამოყენება აქვს სამართალწარმოების ფარგლებში. ვალდებულების შესრულებლობის ცნებაში მოიაზრება მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც მოვალეს, გარკვეული მიზეზებისა და გარემოებების გამო, არა აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.“<sup>109</sup>

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები აისახება გარიგების, ბრალეულობის, შეცვლილი გარემოებებისა და დაუძლეველი ძალის მომწესრიგებელ ნორმებში. მისი მთავარი თვისება მხარის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებაა, თუმცა ის ყოველთვის არ ათავისუფლებს

---

<sup>107</sup> ბეგიაშვილი ნ. (2011). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით–სამართლებრივი ანალიზი). *სამართლის ჟურნალი* "სარჩევი", 10.

<sup>108</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ . 376

<sup>109</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი N 4*, 40. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

პირს პასუხისმგებლობისაგან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ შესრულების შეუძლებლობის რომელი სახე გვაქვს.<sup>110</sup>

გერმანულ დროქტინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოყოფენ შესრულების შეუძლებლობის სხვადასხვა სახეებს,<sup>111</sup> კერძოდ: შესრულების ობიექტურ და სუბიექტურ შეუძლებლობას, შესრულების სრულ და ნაწილობრივ შეუძლებლობას, შესრულების ბუნებრივი და იურიდიულ შეუძლებლობას, შესრულების საწყის და შემდგომ შეუძლებლობა და შესრულების ეკონომიკურ შეუძლებლობას.

### ვალდებულების შესრულების ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა

შესრულების ობიექტური შეუძლებლობა მაშინ გვაქვს, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო მოცემული მოვალისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი პირისთვისაც.<sup>112</sup> როგორც წესი ვალდებულებას მოვალე ასრულებს, თუმცა ზოგ შემთხვევებში „მესამე პირმაც“ შეიძლება შეასრულოს მოვალის მაგივრად ვალდებულება. აღნიშნულის უფლებას სსკ-ის 371-ე მუხლი იძლევა, რომლის ტანახმად: თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბრუნვიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.<sup>113</sup>

ობიექტური შეუძლებლობისგან განსხვავებით, შესრულების სუბიექტური შეუძლებლობის დროს, ვალდების შესრულება შეუძლებელია კონკრეტული მოვალის მიერ, ამ დროს გადამწყვეტ როლს მოვალე თამაშობს, თუმცა ეს არ გამორიცხავს სხვა პირთა მიერ იგივე ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას.<sup>114</sup> შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ან კრედიტორის სუბიექტური მიზეზებით განხორციელებული

<sup>110</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 376

<sup>111</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 376

<sup>112</sup> „იქვე“

<sup>113</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. 371-ე მუხლი, ნაწილი 1, (2019). თბილისი.იბ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

<sup>114</sup> ბეგიაშვილი ნ. (2011). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). *სამართლის ჟურნალი* "სარჩევი", 19.

მოქმედებით ან უმოქმედობით, რამაც საბოლოოდ შეუძლებელი გახადა ვალდებულების შესრულება.<sup>115</sup>

### შესრულების საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა

ვალდებულების შეუსრულებლობის შეუძლებლობა შეიძლება წარმოიშვას, როგორც მისი დადების მომენტიდანვე, ისე მის შემდგომ. როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო მისი დადების მომენტიდანვე ასეთ დროს გვაქვს საწყისი შეუძლებლობა, ხოლო, თუ შემდგომ გახდა შესრულება შეუძლებელი, მაშინ შემდგომი შეუძლებლობა გვექნება სახეზე. „საწყისი შეუძლებლობის დროს, პირი კისრულობს ისეთი ვალდებულების შესრულებას, რომლის შესრულებაც თავიდანვე შეუძლებელია.“<sup>116</sup>

როგორც შესრულების სრული შეუძლებლობა, ისე შესრულების შემდგომი შეუძლებლობა შეიძლება არსებობდეს შესრულების სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობის სახით. თუ გარიგების შესრულება თავიდანვე შეუძლებელია, ასეთი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს.<sup>117</sup>

### შესრულების სრული და ნაწილობრივ შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება წარმოიშვას მოვალის მიერ ნაკისრი მთლიანი ვალდებულების ან ვალდებულების ნაწილის მიმართ. ვალდებულების შესრულების სრული შეუძლებლობა მაშინაა, როდესაც ვალდებულების არსი გულისხმობს მის შესრულებას ერთიანი ქმედებით, ხოლო შესრულების ნაწილობრივ შეუძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შინაარსი მოიცავს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ცალკეული ქმედებების ერთობლიობას.<sup>118</sup>

ნაწილობრივი სესრულება ვრცელდება მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელთა დანაწილებაც შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ

---

<sup>115</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 46. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

<sup>116</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 48. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

<sup>117</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 377–378

<sup>118</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 48. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

ვალდებულებად, თუ ვალდებულება ერთნაირია და ხდება მისი ნაწილის გამოყოფა, მაშინ შესრულების სრული შესაძლებლობა იქნება სახეზე.<sup>119</sup>

### **ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა**

**ბუნებრივ** შეუძლებლობას ფიზიკურ შეუძლებლობასაც უწოდებენ ამ დროს შესრულება შეუძლებელი ხდება შესრულების საგნის განადგურების, ანდა მოვალის სიკვდილის გამო.<sup>120</sup>

შესრულების **იურიდიული** შეუძლებლობის დროს მოვალის მიერ შესასრულებელი ქმედება აკრძალულია საკანონმდებლო აქტით, შესაბამისად მოვალის ქმედების განხორციელება გამოიწვევს კანონდარღვევას.<sup>121</sup>

მოვალე ვალდებულებას ხშირად ვერ ასრულებს სახელმწიფო ორგანოთა განკარგულებების გამო, ვინაიდან შესაბამისი აქტის საფუძველზე იკრძალება იმ მოქმედების შესრულება, რომლის შესრულების ვალდებულება მხარეს ეკისრება. შესრულების იურიდიული შეუძლებლობა ზოგ შემთხვევაში ობიექტურ შეუძლებლობას უთანაბრდება და მოვალე პასუხს არ აგებს ვალდებულების შესრულების დაყოვნების ან შესრულების სრული შეუძლებლობის დროს.

სსკ-ის 91-ე მუხლის თანახმად: „ ბათილია პირობა , რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული , მთლინად ბათილია.“<sup>122</sup>

### **შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა**

შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა გვაქვს, როცა ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთი გარემოებების დროს, როგორცაა ფულის ინფლაცია, პროდუქტის ფასისი ზრდა და სხვა. ამ დროს სამოქალაქო ბრუნვის პირობებიდან გამომდინარე ანგარიში უნდა გაეწიოს შესრულების სუბიექტს. ეს

<sup>119</sup> ბეგიაშვილი ნ. (2011). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). *სამართლისჟურნალი "სარჩევი"* , 20–21.

<sup>120</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ . 378

<sup>121</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 47. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

<sup>122</sup> *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. 91-ე მუხლი, (2019). თბილისი.იხ. ლინკი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

მდგომარეობა ტოლფასია შეცვლილი გარემოებების.<sup>123</sup> მაგალითად, თუ „საქონლის“ ფასი, რომელზეც დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, ვალდებულების შესრულებამდე, კერძოდ, „საქონლის“ მიწოდებამდე აშკარად გაიზარდა ანგარიში ეწევა მოვალეს და მას არ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება, რადგან პირობები შეიცვალა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ეკონომიკური შეუძლებლობისას ვალდებულება მოვალისათვის უკიდურესად მძიმეა შესასრულებლად, მაგრამ ეს არ არის კრედიტორის შესრულების ინტერესთან მნიშვნელოვნად შეუსაბამო. ამრიგად, ეკონომიკური შეუძლებლობის არსებობისას კრედიტორის შესრულების ინტერესსა და მოვალის შესრულების სირთულეს შორის შეუსაბამობა არ არსებობს, რამდენადაც რთულია ვალდებულების შესრულება მოვალისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია შესრულების მიღება კრედიტორისათვის.<sup>124</sup>

„მნიშვნელოვანია, თუ სამართლებრივი სისტემა სახელშეკრულებო ინტერესის დაკმაყოფილების რა ფორმებს სთავაზობს დაზარალებულ მხარეს შესრულების შეუძლებლობის არსებობისას.“<sup>125</sup>

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის თანახმად, მოვალე თავისუფლდება სახელშეკრულებო ბოჭვისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ შესრულების შეუძლებლობა, რომელიც მოვალის ბრალეულობით არაა გამოწვეული, არმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდეგ. არაბრალეული შეუსრულებლობის შეუძლებლობის დროს ორივე მხარე თავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან (ორმხრივი განთავისუფლება).<sup>126</sup>

### 3.2 შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების შეუძლებლობა

„შეცვლილ გარემოებათა სამართლებრივი მნიშვნელობა აღიარებულია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ამა თუ იმ მოდიფიკაციებით, როგორცაა

---

<sup>123</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ 379

<sup>124</sup> ჩიტაშვილი ნ. (2011). შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა. *სამართლის ჟურნალი*, N 2, , 155. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf)

<sup>125</sup> ჩიტაშვილი ნ. (2011). შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა. *სამართლის ჟურნალი*, N 2, 153. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf)

<sup>126</sup> „იქვე“

„ხელშეკრულებათა გაყინვა“, „გარიგების საფუძველთა მოშლა“, საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში გამოიყენება ტერმინი „გართულება“ (hardship).<sup>127</sup>

„იურიდიულ ლიტერატურაში შეცვლილ გარემოებათა დეფინიცია არ არსებობს. გარემოება სეიდლება იყოს ნებისმიერი მოვლენა, ფაქტი, შეთანხმების საგანი, მიზანი, მიზეზი, რომელიც მიუთითებს თუ რატომ ან რისთვის ხდება ხელშეკრულების დადება.“<sup>128</sup>

სსკ-ის 398-ე მუხლი ასახავს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი, რომლის თანახმად:

1. „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებენ ამ ხელშეკრულებას ან დადებენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეეძლება მოეთხოვოს შეცვლილი გარემოებების მკაცრად დაცვა.“
2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.
3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.“<sup>129</sup>

კანონის თანახმად მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ დადებული ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თუმცა ეს ყოველთვის დასაშვებინ არაა ამისათვის საჭიროა, რომ გარემოებანი, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდგომ აშკარად შეიცვალა. ეს ცვლილება ისეთი აშკარა უნდა იყოს, რომ მათი გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები არ დადებდნენ ან დადებდნენ სხვა შინაარსის ხელშეკრულებას. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა გამწვანებულია ხელშეკრულების შესრულება და ტუ ის მაინც შესრულდება მძიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს ხელშეკრულების რომელიმე მხარისათვის, ვინაიდან

<sup>127</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 400

<sup>128</sup> ლეგაშვილი დ. (2013). შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. *სამართლის ყურნალი*, N2, , 80. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)

<sup>129</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398, (2019), იხ ლინკი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

არსებითად შეიცვალა გარემოებები, რომლებიდანაც მხარეები გამოდიოდნენ ხელშეკრულების დადებისას.<sup>130</sup>

ცვლილება რაც არ უნდა აშკარა იყოს და ართულებდეს ვალდებულების შესრულებას, მისადაგების უფლება არ წარმოიშობა, თუ მხარეს მისი გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შეეძლო. ამიტომ მნიშვნელოვანია დადგინდეს მხარეები შეძლებენ თუ არა ცვლილების გათვალისწინებას, თუ გარემოების ცვლილების გათვალისწინება შესაძლებელია ის არ მიიჩნევა შეცვლილ გარემოებად.<sup>131</sup>

გარემოებები იცვლებიან ხელშეკრულების დადების შემდეგ, შესაბამისად გარემოებების შეცვლა მხარეთათვის წინასწარ უცნობია და ისინი ვერ შეძლებდნენ გათვალისწინებინათ, თორემ ისინი არ დადებდნენ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით. ხელშეკრულების დადების შემდეგ იმ პირობათა შეცვლა, რომლებიც ხელშეკრულების დადების საუძველს წარმოადგენდნენ, იწვევს მხარეთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადახედვას.<sup>132</sup>

დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ შეცვლილი გარემოებებით მოვლენის დადგომამ ვალდებულების შესრულება უკიდურესად მძიმე გახადა ხელშეკრულება დაიღო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვლენა არ დადგებოდა, შესაბამისად მხარეს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი.<sup>133</sup>

შეცვლილი გარემოებები გვხვდება როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან ურთიერთობებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეცვლილი გარემოებები უმეტესწილად გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიყენება, ისეთში, სადაც შესრულება „გაწელილია“ დროის გარკვეულ პერიოდში.<sup>134</sup>

---

<sup>130</sup> ახვლედიანი ზ. (1999). *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: "სამართალი". გვ. 57

<sup>131</sup> ლეგაშვილი დ. (2013). შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. *სამართლის ჟურნალი*, N2, , 89. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)

<sup>132</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (2001). *ვალდებულებითი სამართალი, სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი*, წიგნი 3, თბილისი: "სამართალი". გვ. 401

<sup>133</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 42. იხ. ლინკი: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

<sup>134</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი*, წიგნი 3, *ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 403

შეცვლილი გარემოებების დროს მხარეები ვალდებულნი არიან ეცადონ ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან, ამასთან ხელშეკრულების ორივე მხარე შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მოლაპარაკებისას უნდა დაეყრდნონ კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>135</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქციაა სამართლიანი შედეგის დადგომა და აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილება, რასაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი სტაბილურობა.<sup>136</sup>

შეცვლილ გარემოებათა მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ კანონმდებლობაში იგი განიხილება შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტთან ერთად, თუმცა ქართული დოქტრინა ამ მიდგომას არ იზიარებს, შეუძლებელია შესრულების შეუძლებლობის გაიგივება შეცვლილ გარემოებებთან. შესრულების შეუძლებლობის დროს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამორიცხულია, მაშინ როცა, შეცვლილი გარემოებების არსებობის დროს ასეთი შესაძლებლობა მაინც არსებობს.<sup>137</sup>

საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს რა სამართლებრივი შედეგი დადგება, თუკი შეუძლებელი იქნება ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოლაპარაკების შემდგომ ვერ შეძლებენ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას. პირველ რიგში მხარეები უნდა ეცადონ მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს ამის შემდგომ, თუ მაინც შეუძლებელი იქნება ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი მხარეს აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

აღნიშნული მუხლიდან ისე ჩანს, თითქოს ამ საკითხის მოწესრიგება არ მხარეთა ურთიერთობას არ სცილდება და ამ საკითხში სასამართლო არ ერევა ეს ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც შეცვლილ გარემოებებთან

---

<sup>135</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 406

<sup>136</sup> ლეგაშვილი დ. (2013). შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. *სამართლის ყურნალი*, N2, , 92–93. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)

<sup>137</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 400

ხელშეკრულების მისადაგება შეიძლება მოხდეს საამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მხარეებს ამის სურვილი ექნებათ და მიმართავენ სასამართლოს. უცხოური სასამართლო პრაქტიკა „მდიდარია“ მსგავსი გადაწყვეტილებებით<sup>138</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხარისათვის დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებას და რა იმ დროს, როცა მხარეები ვერ სეთანხმდებიან აღნიშნულ საკითხზე.<sup>139</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლა სასამართლოს მიმართვის გარეშე მაშინაა შესაძლებელი, როდესაც არცერთ ხარეს არ სურს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება, ასეთ შემთხვევასი სასამართლო ვერ აიძულებს მხარეებს ურთიერთობის შენარჩუნებას, მაგრამ, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებასთან მისადაგების ესეზე და პირობებზე, ხელშეკრულებიდან გასვლამდე სასამართლოსთვის მიმართვაა საჭირო.<sup>140</sup>

„მაშასადამე, სსკ–ის 398–ე მუხლი შეიძლება განხილული იქნეს, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტად, მეორე მხრივ, ასეთი სტაბილურობისათვის საფრთხედ, ვინაიდან ამავე ნორმის საფუძველზე სახელშეკრულებო ურთიერთობა მთავრდება.“<sup>141</sup>

### 3.3 ფორსმაჟორი, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი და მისი სამართლებრივი მახასიათებელი

ქართული სამოქალაქო სამართალი „ფორსმაჟორის“ განმარტებას არ იძლევა, თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს მის მსგავს, შესაბამის საკანონმდებლო დასახელების რეგულირებას, როგორცაა დაუძლეველი ძალა, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა და შეცვლილი გარემოებები. აღნიშნული

<sup>138</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი". გვ. 407

<sup>139</sup> ჩიტაშვილი ნ. (2011). შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა. *სამართლის ჟურნალი*, N 2, 163. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf)

<sup>140</sup> ლეგაშვილი დ. (2013). შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. *სამართლის ჟურნალი*, N2, , 99, იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)

<sup>141</sup> ლეგაშვილი დ. (2013). შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. *სამართლის ჟურნალი*, N2, , 100. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)

ტერმინები არსობრივად შესრულების გართულების და ფორსმაჟორის სამართლებრივ კატეგორიებს ეხმიანება.<sup>142</sup>

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად არც გერმანული სამართალი არ იძლევა „ფორსმაჟორის“ დეფინიციას, ისევე, როგორც ევროპის სხვა რიგი ქვეყნები. „ფორსმაჟორი“ ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მას, როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთ გამოვლენას.<sup>143</sup>

როგორც ზემოთ ვთქვით „ფორსმაჟორი“ გამოიყენება დაუძლეველი ძალის მნიშვნელობით. ცივილისტურ დოქტრინაში დაუძლეველი ძალის მიმართ გამოიკვეთა ორი სხვადასხვა მიმართულება. პირველისათვის მთავარია მოვლენის ობიექტური ხასიათი, მეორისათვის კი პირიქით მთავარია ამ მოვლენის სუბიექტური ხასიათი.<sup>144</sup>

დაუძლეველ ძალად შეიძლება ჩაითვალოს:

1. სტიქიური უბედურებები, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ცუნამი, ხანძარი და ა.შ. (თუმცა გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს უფლება აქვს, უარი ხანძრის ფორსმაჟორად აღიარებაზე კონკრეტული გარემოებების შესწავლის საფუძველზე)
2. სოციალური მოვლენები – ომი, რევოლუცია, აჯანყება, სახელმწიფო ხელისუფლების აქტები და ა.შ.

დაუძლეველი ძალა ისეთი მოვლენაა, რომლის წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცდენა მოვალეს არ შეუძლია, ვინაიდან ეს ხდება მისგან დამოუკიდებლად და მას ამაში ბრალი არ მიუძღვის. ამასთან დაუძლეველი გარემოება შესრულებას კი არ უნდა ართულებდეს, არამედ შუძლებელს უნდა ხდიდეს.<sup>145</sup>

სამართლის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დადგენილია მთელი რიგი კრიტერიუმები იმის დასადგენად წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის

---

<sup>142</sup> ჩიტაშვილი ნ. (2014). შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების ანალიზი. *სამართალი ჟურნალი*, N2, , 160. იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2014.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2014.pdf)

<sup>143</sup> ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, N 4, 45. იხ. ლინკი: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martimsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>

<sup>144</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, "სამართალი. გვ. 372

<sup>145</sup> „იქვე“

მოვლენა დაუძლეველ ძალას, ასეთია მისი დადგომის ვადა, ხანგრძლივობა, წარმოშობის ადგილი და სხვა.<sup>146</sup> ყოველივე კრიტერიუმი მნიშვნელოვანია, რადგანაც ერთ გარემოში ერთი მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს დაუძლეველ ძალად, სხვა შემთხვევაში კი არა.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად როგორც წესი დაუძლეველი ძალის დროს მოვალე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. სსკ-ის 779-ე მუხლის თანახმად: „პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანხმლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით.“ ეს მუხლი სპეციალურია და ესება მხოლოდ სასტუმროებსა და მსგავს დაწესებულებებს.

ამასთან ერთად საქართველოს კანონმდებლობ იცნობს რიგ შემთხვევებს, როდესაც დაუძლეველი ძალის დროსაც შეიძლება მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. მაგ: როგორც საბჭოთა საჰაერო კოდექსი, ისე მოქმედი საჰაერო კოდექსი საჰაერო ხომალდების მფლობელს პასუხისმგებლობას აკისრებს მგზავრზე მიყენებული ზიანისათვის, მაშინაც კი, როცა ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამაზე მიუთითებს სსკ-ის 999-ე მუხლის მესამე ნაწილიც.<sup>147</sup>

სსკ-ის 999-ე მუხლი:

1. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა: ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს; ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი;

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალისთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა სავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს.

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა მას ზიანის დადგომაში ბრალი

<sup>146</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი. გვ. 372

<sup>147</sup> „იქვე“

არ მიუძღვი. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.<sup>148</sup>

სსკ-ის 831-ე მუხლის თანახმად მზღვეველი ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ მასინ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია სპეციალური შეთანხმებით.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წესი ხშირ შემთხვევაში სრულყოფილი არაა. ხელშეკრულების მხარეებს აქვთ უფლება სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით თვითონ განსაზღვრონ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობების ე.წ ფორსმაჟორული დათქმები, რომლის შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტობრივ და იურიდიულ გარემოებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში არსებობს ფორსმაჟორის მომწესრიგებელი დათქმა, რომლის მიზანი გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებაა რთულ მდგომარეონაში და ვალდებულების დარღვევის საფუძვლით მათი შეწყვეტის თავიდან აცილება ადნიშნული პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება.<sup>149</sup>

ფორსმაჟორული დათქმები ქართულ პრაქტიკასაც გამოიყენება და მხარეები ხელშეკრულებასი თვითონ უთითებენ გარემოებებზე, რომლების იწვევს მათ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუმცა ეს მითითებები ზოგადია კომერციულ პრაქტიკაში კი უფრო მიღებულიად ითვლება ის შემთხვევები , როცა ხელშეკრულებაში უფრო კონკრეტულად ამ გარემოებათა ცალკეული სახეებიცაა ჩამოთვლილი.<sup>150</sup>

როგორც ვნახეთ არის კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც უპირობოდ მიიჩნევა ფორსმაჟორულ გარემოებად, თუმცა არის ცალკეული გარემოებები,

---

<sup>148</sup> ჩიკვაშვილი შ. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 4, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტ. 2., თბილისი, "სამართალი". გვ. 408

<sup>149</sup> ჩიტაშვილი ნ. (2015). პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სამართლიანობის ფარგლებში. *სამართლის ჟურნალი*, N1, , 91.იხ. ლინკი: [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2015.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2015.pdf)

<sup>150</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (2001). ვალდებულებითი სამართალი, *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი 3., თბილისი: "სამართალი. გვ. 374

რომლებზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს, შეაფასოს და დაადგინოს ესა თუ ის გარემოება ჩაითვლება თუ არა ფორსმაჟორად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ–ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების სრული ან ნაწილობრივ შესრულებისათვის ფორსმაჟორის შემთხვევაში. ფორსმაჟორად განიხილება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი. მხარე, რომლისთვისაც ფორსმაჟორის გამო, შეუძლებელი იყო ვალდებულების შესრულება, ამის შესახებ დაუყონებლივ , ფორსმაჟორიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა უნდა აცნობოს მეორე მხარეს. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მოვალე კარგავს უფლებას ფორსმაჟორის შემთხვევაში გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.<sup>151</sup>

როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ფორსმაჟორი გახდეს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი აუცილებელია მხარემ ფორსმაჟორის არსებობის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე, რომელიც ვერ შეასრულებს ვალდებულებას ფორსმაჟორული გარემოს არსებობის დროს მაინც არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

დღესდღეობით ჩვენ გვიწევს ცხოვრება გლობალური პანდემიის პირობებში, რომელიც კარგი მაგალითია ფორსმაჟორული გარემოების წარმოსადგენად და გასააზრებლად. იმის გასააზრებლად, თუ ზოგადად რას გულისხმობს ფორსმაჟორი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს გარემოება, რომ ის მიჩნეულ იქნეს ფორსმაჟორად.

COVID-19 და მისგან გამომდინარე გარემოებები შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორად და გახდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი, რადგანაც გარემოებამ გამოიწვია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირი მოგეხსენებათ, ყველაფერი გაჩერდა, ხალხი დარჩა სახლში შემოსავლის წყაროს გარეშე და ვერანაირად ვერ შეძლებენ ვალდებულების შესრულებას, ამასთან ერთად გარემოების გათვალისწინება და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

ის, რომ COVID–19 მიიჩნევა ფორსმაჟორულ გარემოებად ადასტურებს სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, (მთავრობის დადგენილება, პრეზიდენტის ბრძანება, პრეზიდენტის დეკრეტი)

<sup>151</sup> ვალდებულებით სამართლებრივი დავა, N-ას–1004–2019 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 3 ოქტომბერი). იხ ლინკი: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ცნობები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები და სხვა სახის მტკიცებულებები.

საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული ნეგატიური გავლენების შესარბილებლად, გაატარა ეკონომიკის მხარდაჭერის ღონისძიებები:

- ბანკები ინდივიდუალურად გაუკეთებენ სესხის რესტრუქტურირაციას იმ ბიზნესს, რომელსაც შეექმნება სესხის გადახდის პრობლემა.
- ბანკები მოქალაქეებს მომდევნო სამი თვის განმავლობაში მისცემენ შენატანის გადავადების საშუალებას.
- მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში გადასახდელი ქონების და საშემოსავლო გადასახადები გადაუვადდებათ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს.<sup>152</sup>

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რამხელა გავლენა აქვს ფორსმაჟორულ (დაუძლეველი ძალა) გარემოებას ვალდებულების შესრულება/შეუსრულებლობაზე და პასუხისმგებლობის საკითხზე.

---

<sup>152</sup> იხ ლინკი: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=288&info\\_id=75562](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=75562)

# დასკვნა

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>
2. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 1999 წ.
3. თოდუა მ., ვალემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გამომცემლობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ. [http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl\\_11\\_vald.samartali.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf)
4. თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ნაწილი 2, თბილისი, 2010წ. <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>
5. ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ. რობაქიძე ი., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 წ. [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)
6. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ.
7. ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი მე-2, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ.
8. ვაშაკიძე გ., შესავალი ვალდებულებით სამართალში, თბილისი, ბოლო დამუშავება 26 ოქტომბერი, 2016 წ. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf>
9. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009 წ. გვ.52–61 [http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)
10. ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, მართლმსაჯულება, N1, 2008წ. გვ. 51–60 [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/jur%20martlmsajuleba%202008%20weli%20\(1\).pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/jur%20martlmsajuleba%202008%20weli%20(1).pdf)
11. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა სამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება 2004წ. გვ.72–101 <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf>

12. ქოჩოშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი N1, 2009 წ. გვ. 78–116 [http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)
13. ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, 2009 წ. გვ. 143–218 [http://press.tsu.edu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2009.pdf)
14. მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლოპრაქტიკა) [http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf)
15. მესხისვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა) [http://www.library.court.ge/upload/procentis\\_gadaxda.pdf](http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf)
16. ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, (შედარებით–სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, 2011 წ. გვ. 7–24
17. ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მართლმსაჯულება და კანონი N4, 2018 წ. გვ. 38–60. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n4.pdf>
18. ლეგაშვილი დ., შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, სამართლის ჟურნალი N2, 2013 წ. გვ. 75–117. [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2013.pdf)
19. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011 წ. გვ.133–174. [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2011.pdf)
20. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N2, 2014 წ. გვ. 150–181. [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj2y2014.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj2y2014.pdf)
21. ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სამართლიანობის ფარგლებში, სამართლის ჟურნალი N1, 2015 წ. გვ.88–114. [http://press.tsu.ge/data/file\\_db/elzhurnalebi/sj1y2015.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2015.pdf)
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N 3/807-15, 2015 წელი, 23 ივნისი. <https://idfi.ge/public/upload/IDFI/DamagesDecisionTCC.pdf>
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N-ას–1004–2019, 2019 წელი, 3ოქტომბერი. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
24. ფორსმაჟორულ გარემოში მთავრობის გადაწყვეტილებები 2020წ. იხ ლინკი: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=288&info\\_id=75562](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=75562)

25. კროჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ დავალებით, 2014 წ. <http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>